საქ. შემარცხენე სოც.-ფედ. ხარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვითურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 50,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან.
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადები:
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 50 სამშაბათი, ივლისის 3 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 50,000

დასასრული დასაწყისი.

8 ივლისს, ქ. ქუთაისში გაიხსნება მენშევიკური პარტიის წევრთა კონფერენცია. ეს აქტი მნიშვნელოვანი მოვლენაა. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში უკვე მოხდა მენშევიკების ორგანიზაციებში განხეთქილება. მუშურმა ელემენტებმა უკვე დაჰგმო მათი პარტიის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდი და ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგები გაიზიარა.

ყოველივე ეს არ შეიძლება ასე არ მომხდარიყო. თავისი ინტერესების საღად გაგებით არ შეიძლება საქართველოს მშრომელნი დაკავშირებოდენ იმ ძალებს, რომელნიც ოქტომბრის რევოლიუციას უქადის სისხლში ჩაღრჩობას.

ის სოციალური ტეხილები, რომელიც დღიდან თებერვლის რევოლიუციისა, ვითარდებოდა რუსეთის ფარგლებში, რომელმაც შემდეგ საქართველოსაც მოაღწია, არ შეიძლებოდა ობიექტიურად მიუღებელი ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხებისათვის.

საბჭოთა წყობილების დამყარებისას საქართველოში მხოლოდ ჩვენმა პარტიამ მოუწოდა ქართველ ხალხს საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურისათვის. ჩვენ მთელი გაგება თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობის, ბრძოლის მეთოდები და ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სოციალისტური მიზნები გვაკავშირებდა ოქტომბრის რევოლიუციის პროცესთან.

ჩვენს გამოსვლას დიდი აურზაურით შეეგება ანტი საბჭოთა პარტიები. რა სახელწოდება, რა ეპიტეტი გნებავთ, რომ არ ყოფილიყოს მოძღვნილი ჩვენი მოსამართით. მძლავრი სოციალური ეფექტი ფარავდა მასის პოლიტიკურ აზროვნებას, დიდი იყო მენშევიკური პარტიის მიერ წარმოებული ინსინუაციების გავლენა. ევროპის იმედი კვლავ სოცხლობდა მასაში.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. ერთი მხრივ მთელმა რიგმა კონფერენციებმა ევროპიული ქვეყნებისამ ვერ გაამართლა ანტი საბჭოთა პარტიების ვერც ერთი პროგნოზი, მეორე მხრივ საბჭოთა აღმშენებლობამ დაანახა მოაზროვნე ელემენტებს, რომ არსებული პოლიტიკური რეჟიმი არა თუ არ სპობს ქვეყნის სასიცოცხლო ენერგიას, არამედ მარქსიმალურად მუშაობს ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობისათვის.

მენშევიკური პარტიის მიერ შეცდომაში შეყვანილი მუშები და გლეხები კვლავ უბრუნდებ მუშურ-გლეხურ მოძრაობას. დღეს საზოგადოებრივი აზრი თავისუფლდება პოლიტიკური ცრუმორწმუნოებისა და უტოპიზმისაგან.

სხვა საკითხია რა კონკრეტიულ ფორმებში გამოსახავენ მენშევიკური პარტიის წევრები თავის პოლიტიკას, მაგრამ მოწოდებიდან, რომელსაც ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფი, აშკარად და გარკვეულათ არის დაგმობილი მენშევიკური პარტიის პოლიტიკა და ასეთივე გარკვევით არის მიღებული ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგები. ეს პროცესი კიდევ უფრო განვითარდება და გაღრმავდება, რამდენათაც ენერგიული მუშაობით დავძლევთ იმ დეფეკტებს, რომელიც თანა ხლავს ახალ გრანდიოზულ აღმშენებლობას.

ზღვის ფაქ

აბრის (ვივესკის) წარწერები.

ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დადგენილება, რომლის ძალითაც ყოველი სავაჭრო, საზოგადოებრივი, თუ სხვა რამ ასეთი დაწესებულება ვალდებულია აბრის ძირითადი წარწერა გააკეთოს ქართული ენით, ხოლო შემდეგი რა ენითაც ჰსურდეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სავაჭრო, გასტრონომიულ სამანუფაქტურო და საერთოდ მაღაზიების უმთავრესი და დაწვრილებითი წარწერები ვიტრინებზე აქვთ გაკეთებული და მაშინ ქალაქის აღმასკომის დადგენილება ცალმხრივი გამოდის, რათგანაც ვიტრინების წარწერა არა სახელმწიფო ენით არის, ხოლო ხსენებული დადგენილების შემდეგ შეიძლება ასეთი წარწერები ისე განვითარდეს, რომ აბრებისთვის სავალდებულო დადგენილება ცხოვრებაში სულ დაიჩრდილოს.

ამ ჟამად რაც წარწერა არის აბრებსა, თუ ვიტრინებზე, სულ იმას ჰმოწმობს, რომ რამდენადაც გრამატიკულად სწორია რუსული ენით შესრულებული წარწერა, იმდენად ასეთი წარწერა ქართულად გაკეთებული გრამატიკულად უსწოროა, ხშირად რუსული სიტყვებითაც არის. მაგალითად სტალოვია, კატლეტნია, მანუფაქტურნი, გალანტერეინი,, ბაკალეინი, საბაკალეინო, საგალანტერეინო და სხვა ამგვარი წარწერა ამშვენებს მაღაზიებს, ზოგჯერ მახინჯი ხელითაც შესრულებული.

ასეთი ნაწერები ავრცელებს ქართული ენის უცოდინარობას და იმავ დროს ჩვენს უკულტურობასაც ჰმოწმობს. ბოლო რომ მოეღოს ამ სამწუხარო ამბავს, საჭიროა, ქალაქის აღმასკომმა დანიშნოს კომისია, რომელსაც მიჰმართავს ყოველი მსურველი აბრის გაკეთებისა.

მაგრამ პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო ქალაქის აღმასკომის, დადგენილებას, ნუ თუ არ უნდა აწესრიგებდეს კერძო აფიშების, რეკლამების და სხვა განცხადებანის გაკვრის საქმესაც, რომლის დანიშნულებაც აბრის დანიშნულებასთან არაფრით განსხვავდება?

პეტრე მირიანიშვილი.

ახალი ამბები

— **ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო** დღევანდელი „ტრიბუნა“ **გამოდის 2 გვერდი.**

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** სამშაბათს, ივლისის 3-ს, საღამოს, 7 ნახ. საათზე, ხელოვნების სასახლეში (სერგეევის ქუჩა № 13) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებებს: 1) ს. კაკაბაძე—„ერთი ძველი ქართულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხთაგანი (არსენ კათალიკოზი)“; 2) ს. გაჩეჩილაძე—„ლინგვისტიკური და ფილოლოგიური მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ქართველი ტომი არის ძველი თეთრი რასისა“. კრება საჯაროა.

— **საბავშო კლუბი.** რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირმა მუშტაიდში გახსნა საზაფხულო საბავშო კლუბი=სადაც იმართება წარმოდგენები და საღამოები.

— **ინვალიდების შემოწმება.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი შეუდგა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულების ხელ ახალ შემოწმებას, შემოწმებულებს ჯანმრთელობის მიხედვით დაენიშნებათ დახმარება.

— **მუშათა ფაკულტეტი.** საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებამ და სახ. განათ. კომისარიატის პროფ. განყ. სექტორმა შეიმუშავეს 1923—24 სამოსწავლო წლის სახელმძღვანელო დებულება მუშათა-ფაკულტეტის მსმენელებისათვის.

— **სამუსიკო წიგნების ბიბლიოთეკა.** სამუსიკო სექციის საორგანიზაციო კომისიამ წინადადება მისცა 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიას, კონსერვატორიის შენობაში მოწაფებისათვის მოაწყოს ნოტების და სამუსიკო წიგნების ბიბლიოთეკა.

ტფილისის საქალაქო კონფერენცია

ივლისის 1-ს, დილის 11 საათზე, პარტიის ცენტრალურ ბიუროში, გაიხსნა ტფილისის საქალაქო პარტიული კონფერენცია.

ბიუროს დარბაზი საზეიმოდაა მორთული. ამხ. დელეგატებს ენტუზიაზმით აღსავსე ღიმილის იერი აკრავთ. ისინი იჭერენ დარბაზის წინა რიგებს, ხოლო უკანა ნაწილი უჭირავთ კონფერენციით დაინტერესებულ სტუმარ ამხანაგებს.

ტფილისის კომიტეტის სახელით კონფერენცია გახსნა ამხ. ვ. პაატაშვილმა, რომელმაც აღნიშნა კონფერენციის მიზნები, პარტმუშაობის გაძლიერების საჭიროება და უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა. ინტერნაციონალის გუგუნმა და ტაშის გრიალმა დაფარა ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები.

დაიწყო მისალმებები. მთავარი კომიტეტის სახელით მისალოცი სიტყვით მიმართა კონფერენციას ამხ. ს. ამაღლობელმა, ტფილისის მე-4 რაიკომის სახელით—ამხ. გრ. ხოფერიამ, მბეჭდავ მუშათა ფრაქციის სახელით—ამხ. დ. მელაშვილმა, მე-2 რაიკომის სახელით—ამხ. გ. თავზარაშვილმა, საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. ახალგაზრდათა კავშირის სახელით—ამხ. ჟღენტმა, კონფერენციას მიმართავს მისასალმებელი სიტყვით აგრეთვე ზუგდიდის სამაზრკომის წევრი—ამხ. შ. შენგელაია, რომელიც შემთხვევით დაესწრო სხდომას. ქუთაისის ახალგაზრდათა კომიტეტის სახელით შინაარსიანი და მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ცაგარეიშვილმა. კონფერენცია უმართავს ორატორებს ოვაციებს და ინტერნაციონალის სიმღერით აძლევს მათ პასუხს.

არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ—ამხ. პლატონ კვირკელია, მის ამხანაგებად—ამხ. დ. მელაშვილი და მირ. სეფერთელაძე. მდივნებად—ამხ. გ. თავზარაშვილი და ამხ. დ. რატიანი. საპატიო თავმჯდომარეებათ კონფერენცია ერთხმად ირჩევს ამხ, იაკობ ფანცხავას, თედო ღლონტს, პარმენ ჭანიშვილს, მიხა ესაკიას, მიხა კაკულიას და ბესო მაისურაძეს. ამხ. მაისურაძეს დელეგატები ფეხზე ადგომით, ტაშის და ვაშას ძახილით ეგებებიან.

ამხ. თავმჯდომარე აცნობებს კონფერენციას მუშაობის წეს-რიგს. კონფერენცია საჭიროდ სცნობს დასმულ იქმნას საკითხი პარტიულ პროგრამის შესახებ. დადასტურებულ იქმნა დღის შემდეგი წესრიგი.

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. პარტიული პროგრამა.
4. ტფ. კომიტეტის ანგარიში.
5. მოხსენებანი რაიონებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. ტფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

წესრიგის მიღების შემდეგ ირჩევა სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით: გრ. ლასკარი, ალ. თურქია და კ. საყვარელიძე.

ამის შემდეგ კონფერენცია ღებულობს მუშაობის მსვლელობის რეგლამენტს, რის შემდეგაც სხდომა სწყდება.

მორიგი სხდომა ინიშნება საღ. 6 საათისთვის.

ქართულ წითელ ჯარში

სამხედრო რევტრიბუნალი. ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალმა დივიზიის სამოსწავლო ათასეულიდან გაქცეულ წითელ არმიელებს დეზერტირობისათვის მიუსაჯა ორ ორი წლის ციხე. მათი სახელი და გვარი; ნიკოლოზ მახაროblიშვილი, გიორგი ჯორლოშვილი და იოსებ ოზაშვილი.

საქმეების გარჩევა 28 ივნისს რევტრიბუნალში დანიშნულია ქართულ ცხენოსან ლეგიონის თანამშრომელის ილია მჭედლიშვილის და მთავარ საწყობის მუშების: ალექსი ტოლიაშვილის, ილო ოთარკაშვილის, კარაპეტა ყაზაროვის, შაქრო მატინოვის და სხ. რომლებსაც ბრალდებათ სახაზინო ქონების გაფლანგვა და ნაქურდალის შესყიდვა.

29 ივნისს კი ქართულ დივიზიის საავტომობილო რაზმის გადამწერის ალექსანდრე ტერიოშვილის, რომელსაც ბრალი ედება სამსახურში სიყალბის ჩადენაში.

ცენტრ არმკლუბში. 27 ივნისს გაიმართა ქართული წარმოდგენა, წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონური პიესა „1 მაისი“ და დივერტისმენტი წარმოდგენას აუარებელი წითელ არმიელი დაესწრო. თვით წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. წარმოდგენას ხელმძღვანელობდა ამხ. ხუციშვილი.

მუშათა ცხოვრება

ბათომი. ბათომის პროფესიონალურ კავშირს დიდი ღვაწლი მიუძღვის კულტურულ მუშაობის სფეროში და მისი მუშაობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებელია, გარდა რამოდენიმე ნაკლისა. კავშირის საშვალებით მრავალ უსწავლელ მუშა-მოსამსახურეს მიეცა საშვალება აღმოეფხრა თვისი უცოდინარობა. კავშირმა დაარსა კლუბი სადაც მუშა-მოსამსახურეები იკრიბებიან თავისუფალ დროს. იმართება კავშირის კრებები, მომხსენებები და სხვა. კლუბთან არსებობს სამკითხველო, სადაც საკმარისათ მოიპოვება სხვა და სხვა პოლიტიკური წიგნები, როგორც ქართულ, აგრეთვე სხვა ენებზე. კლუბთან არსებობს მუშა-მოსამსახურეთაგან შემდგარი ქართული და რუსული დრამატიული წრეები. კლუბს ყავს საკუთარი გამგე ამხ. კამენსკი (იგივე კავშ. კულტ. განყოფ. სექ: გამგე), მაგრამ მიუხედავათ ბევრ დადებითი მხარეებისა, ერთი რამ ნაკლი ახასიათებს მუშაობას. ეს ის რომ სამკითხველოში ძლიერ მოიფერხებს და თითქმის არ მოიპოვება ქართული ჟურნალ გაზეთები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ამ ერთი თვის წინეთ გამოწერილი იქმნა ადგილობრივი გაზ. „ბრძოლა“). გარდა ამისა ქართულ დრამატიულ წრეს მუშაობა უხდება ცუდ პირობებში რისი დამნაშავეც არის ამხ. კამენსკი, ვინაიდან მას არ აინტერესებს ქართული წრე იმდენად, როგორც რუსული და მას სათანადო ანგარიშს ვერ უწევს. სცენის სხვა და სხვა გვარ საჭიროების მიწვდენით, რისთვისაც თვით სცენის მოყვარე ემსახურებათ პიესის დადგმის დროს დეკორაციების, ტანთსაცმელების და სხ. ზიდვა, იმ დროს, როდესაც ზემოთ აღნიშნული რუსულისთვის ყოველთვის მოძებნილი არის ამხ. კამენსკის მიერ. ქართული წრე შესდგება მუშა-მოსამსახურეებითგან და როგორც ახალი მოისუსტებს სამაგიეროთ ხელმძღვანელი ამხ. ფრონისპირელი, გამოცდილი და მუყაითია—მისი ხელმძღვანელობით აუცილებელია, რომ წრე შესძლებს თავის მ. მ. ამხანაგებს თავისუფალ დროს უჩვენოს და თვალწინ წამოუყენოს რევოლიუციონური შთაბეჭდილებები წინანდელ ცხოვრებისა. ეს კი დიდი განძია მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების გასავითარებლად და კულტურულ მუშაობაში ჩაბმისათვის. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს რომ ამ წრეს კლუბთან ვერ აქვს დათმობილი სათანადოთ ადგილი, რომ უფრო ნაყოფიერი იქმნეს მისი მუშაობა. ამის მაგალითი იყო კავშირის ამხანაგის მიერ შოვინისტური, და უვიცად გადმოსროლილი სიტყვა კლუბთან თამაშის განაწილების დროს.

„კლუბი ჩვენია და თქვენ ვინ მოგცათ განაწილების ნებაო“ თუმც ამ სიტყვის გადმომსროლელი არაა შეუგნებელი, და მისი გულის სიღრმიდან იყო იგი ამოსროლილი, მაგრამ მისი ასეთი საქციელი ამტკიცებს მხოლოდ მის შოვინისტობას და ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში მას ადგილი აღარ ექნება, და არც სხვის მიერ იქნება განმეორებული. ვიმედოვნებთ რომ ამხ. კამენსკი, კავშირის გამგეობის შემწეობით, შესძლებს აღნიშნულ ნაკლის შესწორებას მ. მ. შორის კულტურულ მუშაობის დაგვირგვინებას.

სოფოკლი.

მოსავლის მდგომარეობა ტფილისის ბაზრაში

დიდმა წვიმამ ივნისის 10 და სეტყვამ ივნისის 17 დიდი ზარალი მიაყენა ტფილისის მაზრის მცხოვრებთ. სეტყვამ დალეწა პური და ბოსტნეულობა შემდეგ სოფლებში. სოფ. **სამხრეთში** სრულიად განადგურებულია 171 დესეტინა; დაუზიანებელი დარჩა მთელ სოფელში მხოლოდ 21 დესეტინა. **ქვემო ახალშენში** გადარჩა 2 დეს. დანარჩენი სულ ჩალეწილია. **ზემო ახალშენში** გადარჩა 3 დეს. სხვა განადგურებულია. **სამშვილდეში** განადგურებულია სულ 200 დეს. **წინწყაროში** 700 დესეტინისაგან სეტყვისაგან დალეწილია 200 დეს. **აღბულაღში** ნიაღვარმა წაიღო 6 დეს. ბოსტანი, პური გადარჩა. **კონსტანტინოვკაში** განადგურებულია 30 დესეტინა და ნიაღვარმა წაიღო 30 ღორი და ერთი ხარი.

განათლების მუშაკთა კავშირში

კავშირი პროვინციასთან. პროვინციასთან მტკიცე კავშირის მოსაგვარებლად პრეზიდიუმის დადგენილებით ზაფხულის განმავლობაში მივლინებული იქნებიან ადგილებზე პასუხისმგებელ მუშაკები.

ერთეულ წევრების წმენდა. პირველ ივლისიდან, დაიწყება ერთეულ წევრთა წმენდა. ვინც წმენდაზე არ გამოცხადდება გამოირიცხებიან კავშირიდან.

რაიადგილკომების გამოკვლევა. ამ ჟამად კავშირის ინსტრუქტორი აწარმოებს ტფილისის რაიონული ადგილკომების გამოკვლევას.

განათლების სექციის დაარსება. შრომის ბირჟასთან არსებულ ხელოვნების და განათლების მუშაკთა სექციას პრეზიდიუმის დადგენილებით გამოეყოფა და ცალკე დაარსდება განათლების მუშაკთა სექცია.

წევრების აგარაკზე გაგზავნა. ც. გამგეობამ კავშირის წევრებისთვის შეიძინა ბინები აგარაკ კოჯორში—22 ოთახი. წაღვერში—17 ოთახი. ცემში—7 ბორჯომში—4.

აგარაკზე გამგზავრება ხდება ორ წყებათ 25-VI 1-VIII-მდე 1-VIII—15-IX-მდე.

უკვე მოხდა ადგილების განაწილება.

პირველ წყებათ კოჯორში გაიგზავნა—55 სული.

პატარა ფელეტონი

სამი დღის შემდეგ!..

(ზღაპარი ბავშვებისათვის).

„მოდიან... მოვლენ სულ მოკლე ხანში... სამი დღის შემდეგ!“..

და ასე სულ ელოდნენ მათ მოსვლას და სცხოვრობდნენ მხოლოდ მათ იმედით და შეჰყურებდნენ მღელვარე ზღვას გულ ხელ დაკრეფილნი.

და გავიდნენ დღეები მრავალნი, თვეები და წელნი და სამი დღე გადაიქცა სამჯერ სამას სამოცად და გავიდა სამი წელიწადი... არავინ არა სჩანდა, მაგრამ ისინი მაინც გაიძახოდნენ სასო-წარკვეთილნი:

„მოდიან... მოვლენ სულ მოკლე ხანში... სამი დღის შემდეგ!“.. და შეჰყურებდნენ მღელვარე ზღვას გულ ხელ დაკრეფილნი!..

. . . . . .

და აი გავიდა სამი წელიწადი და გათავდა სამი დღეც... „გამოვიდნენ... დარდანელში შემოსულან... ბათომში დგანან... გემები.. ნამდვილი გემები... „მოდიან!.. მოდიან!.. მოვლენ სულ მოკლე ხანში!.. აქაც მოვლენ... სამი დღის შემდეგ!“..

და მართლაც და მოვიდნენ: 3 დღის შემდეგ... მოვიდნენ და დადგნენ ნავთ-სადგურში:

ნავთის წასაღებათ!..

გენო ყორჩიბაში.

მეორე წყებათ იგზავნება—32.
პორჯომში პირველ წყებათ—11 მეორე—7
წაღვერში პირველ წყებათ—22 „ 12
ცემში—9—5
ამათში 10 პროც. ოჯახიანი წევრებია დანარჩენი ერთეულები.

დახმარება ავადმყოფ და უმუშევარ კავშირის წევრებს. ივნისის თვეში უმუშევრების და ავადმყოფ წევრთათვის ულუფის მაგივრად გადადებულია 800,000,000 მანეთი ამას გარდა სწარმოებს კერძო შემთხვევებში პერსონალური დახმარება.

დახმარება კულტურულ საქმეს. პრეზიდიუმის დადგენილებით არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებად გადადებულ იქნა 15 მილიონი მანეთი.

ამხ. ბესო მაისურაძეს მიეცა იუბილეის გამო 25 მილ. მან.

ჟურნალის გამოცემა. ც. გამგეობა ამ დღეებში გამოუშვებს პერიოდულ პროფესიულ-პედაგოგიურ ჟურნალის პირველ ნომერს.

სარედაქციო კოლეგიაში მოწვეულია, ამხ. შაერდოვისა, შიუკაშვილი, კონიაშვილი, თალაკვაძე და კიკნაძე.

დიდი მადლობა ძმურ დახმარებისათვის

(ქართველ უდინების საქ.-ში გადმოსახლების გამო)

წერილი რედაქციის მიმართ.

როდესაც მე ხელს ვკიდებდი დიდ საქმეს—უდინების გადმოსახლებას საქართველოში, ხშირად ერთი რამ მესმოდა „ვაი თუ ხალხი გულცივად შეხვდეს მაგ საქმესო და გადმოსახლებას ხელი არ შეუწყოსო“. ეს აზრი მაფიქრიანებდა. მართლაც და ჩემთვის ნათელი იყო: თუ თვით ხალხი არ მიგვიღებდა, თუ ის არ გამოგვიწვდიდა თავის ძმურ ხელს, ყოველივე ცდა უნაყოფოდ ჩაივლიდა და შესაძლებელი იყო, რომ გადმოსახლებულნი ძველ საბინადროდანაც ამეყარა და ახალზედაც არ მომეწყო. მაგრამ ეს ჩემი ეჭვები ერთბაშად გაიფანტნენ, როდესაც სინამდვილემდი მივიდა საქმე. საზოგადოებამ იცის, რომ ამ ჟამად კახეთში უკვე გადმოსახლებულია 137 ოჯახი ქართველი უდინი. ეს გადმოსახლება მოხდა წელს ზამთარში. ვინ ჩამოთვლის იმ გაჭირვებას, რომელიც ამ ხალხმა განიცადა გზაში უტანისამოსობით, უგზობით და სიმშილით, მაგრამ დიდმა ნებისყოფამ თავისი ქნა და ბოლოს მიზანი მიღწეულ იქნა. საზოგადოებამ ისიც იცის, რომ ქართველმა უდინებმა მთელი თავისი ავლადიდება, ასწლობით დაგროვილი სიმდიდრე, სხვა და სხვა მიზეზების გამო, აზერბეიჯანში დასტოვეს, და თითქმის ცარიელი ხელით ჩამოვიდნენ თავის ახალ სამშობლოში, და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდებოდნენ ისინი. მაგრამ აქ არ ეძინა ადგილობრივ საზოგადოებას, მშრომელ ხალხს, მათ იცვნეს თავისი ახალი თანამემამულენი, გაიგეს მათი გაჭირვება და უხვი ხელი გაუწოდეს მათ. დაუვიწყარი იქნება ის ამაგი, რომელიც გადმოსახლებულებს გაუწია ჯერ თვით მაზრის აღმასკომმა, მისი თავმჯდომარის ამხ. ცინცაძის, საადგილ-მამულო განყოფილების, ამხ. დ. აბაშიძის და განათლების განყოფილების გამგის, ამხ. შ. პაატაშვილის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა და მისმა მოადგილემ ამხ. გ. ჯანაშვილმა მოაწყეს გადმოსახლებულთათვის შვეიცარიის ტიპის მოძრავი სკოლა, მისცეს სასწავლო ნივთები (დედა ენა, რვეულები, ფანქრები და სხვა). შემდეგ დიდი დახმარება გაუწია გადმოსახლებულებს ახალი სოფლის (ძველი გავაზის) თემის აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. **სარდიონ ბოკერიამ**, იგი თავგამოდებით გამოესარჩლა მათ, ახლო გულთან მიიღო მათი გაჭირვება და ყოველივე საქმეში მათთან არის. პირველ ხანებში დიდ სივიწროეს განიცდიდნენ გადმოსახლებულნი საქონლის საკვების არ ქონით. ეს იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ 50 სული წვრილ და დიდ ფეხი საქონელი დაეხოცათ მათ და ასეთი ბედი ეწეოდა დანარჩენ საქონელსაც, თუ არა მეზობელ სოფლების დახმარება. ამ მხრით დაუვიწყარი იქნება სოფელი **ჭიკაანის გლეხების ამაგი**. მათ სულ უმნიშვნელო სასყიდელში მოგვაწოდეს ბზე და თივა, რითაც შესაძლო შეიქნა თავი გამოგვეტანა რამოდენიმე ხნით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს და ჩვენი დიდი მადლობა არ უთხრათ მიწის მზომელს ამხ. საგინაშვილს. მოჰკიდა რა ამ ადამიანმა ხელი უდინების მიწით-მოწყობას, მან რამოდენიმე თვის განმავლობაში ჭეშმარიტად არ იცოდა, თუ რა არის დასვენება, დროზე ჭამა, სმა და სხვა. იგი სცხოვრობდა „მიწურში“ გადმოსახლებულებთან ერთად, სადაც მას წვიმიან დღეებში თავზე აწვიმდა, სჭამდა და სვამდა ისე ღარიბულათ და იმ პირობებში, როგორც გადმოსახლებულები და ყოველივე შემთხვევაში იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს.

საზოგადოთ, დღიდან გადმოსახლებისა, ქართველმა უდინებმა არ იციან არავითარი შევიწროება ადგილობრივი მცხოვრებლებიდან. ყველა თანაგრძნობით უყურებს მათ. და ეს მაჩვენებელია იმისი, რომ გადმოსახლებულებმა ჰპოვეს თავისი ნამდვილი სამშობლო, თავისი ძმები, რომელთანაც ერთად დაუღალავი შრომით გასწევენ მომავალში ცხოვრების ჭაპანს თავის ახალ სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოთ. კიდევ სალამი და დიდი მადლობა ზემო ჩამოთვლილ პირთ და ყველა იმათ, ვინც საქმით თუ სიტყვით დახმარება გაგვიწიეს და თავის ყურადღებას არ მოგვაკლებენ მომავალშიაც.

უდინების რწმუნებული **ზ. სილიკაშვილი.**

P. S. სხვა გაზეთებს ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს წერილი.

ზ. ს.

ხელოვნება

ს. ფაშალიშვილის საღამო

შაბათს, 30 ივნის წითელ არმიელთა ცენტ. კლუბში (ყოფ. ქართული კლუბში) გაიმართა პოეტი ს. ფაშალიშვილის ტრადიციული საღამო.

ალ. წერეთელმა წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. მან ანალიზი გაუკეთა მე-19 საუკუნის მიწურულის ქართულ ლიტერატურას, შეეხო ილიას და აკაკის რეალიზმს. ხოლო უახლესი ქართული ლიტერატურის მამამთავრად დასახა ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

ახალი მიმართულება, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა უმთავრესად ვაჟამ, ალ. წერეთლის კლასიფიკაციით იწოდება ნეორომანტიზმი. ამ ნეორომანტიზმის პირველ რიგებში მისი აზრით დგანან აბაშელი, შანშიაშვილი, გამსახურდია, ფაშალიშვილი, გრიშაშვილი, იასამანი.

ამ ნეორომანტიკოსების ბანაკს დაუპირდაპირა მეორე ჯგუფი ქართველ მწერლებისა, რომელსაც გრ. რობაქიძე და ვალ. გაფრინდაშვილი მეთაურობენ. შემდეგ იგი შეეხო თვით ს. ფაშალიშვილის პოეზიას. მან ორ პერიოდათ დაჰყო ფაშალიშვილის შემოქმედება, მეორე პერიოდი იწყება მისი ლექსიდან „ჩემი გვარის მოსაგონად“. ამ ლექსში ეპოქალური პანორამებია. ეს ლექსი ეპიური ჩარჩოა ქართული სულის დაუცხრომელი ლტოლვის. აქ გამოთქმულია მთელი ტრაგედია ქართული სულისა და ქართული ბუნებისა.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ფაშალიშვილის ლექსებს „ღამე ქარში“ და „აპოკალიპსი მეორედ“.

საყურადღებო იყო საკონცერტი განყოფილება. ეს იყო დემონსტრაცია ახალი მუსიკალური ძალების. იმღერეს: ქოშაკაშვილმა, მარგარიტა გოგლიჩიძემ და თამარ ნიკოლაძემ.

დიდის აღტაცებით შეხვდა საზოგადოება თამარ გოგლიჩიძეს. ეს უეჭველი მუსიკალური ტალანტია. რამდენი გრაცია, რამდენი სინაზეა, მიის სიმღერაში. ამ ქალს დიდი მომავალი უცდის თუ მან თავის ნიჭს არ უღალატა.

აღსანიშნავია, რომ, ს. ფაშალიშვილს ახალი ტალანტები გამოჰყავს თავის საღამოებზე.

ლექსები წაიკითხეს: ცვარნამმა, ობოლმა მუშამ, ნაწყვეტი რომანიდან—დ. შენგელაიამ.

ს. ფაშალიშვილის ლექსები თამარა ჭავჭავაძემ.

საზოგადოება აღტაცებით მიეგება თვით ფაშალიშვილს, პოეტმა საჩუქრები მიიღო თავის თაყვანისმცემლებისაგან. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო

ა—ის.

საოპერო წარმოდგენა გამართული მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეთა მიერ.

მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის დირექციამ და სამხატვრო საბჭომ გამოცდების დამთავრების შემდეგ გამართა სახელმწიფო საოპერო თეატრის სცენაზე კონცერტი და საოპერო წარმოდგენა. ორთავე შემთხვევაში ყველას, ვისაც კი აინტერესებს მუსიკალური განათლების დანერგვა რესპუბლიკაში, შეეძლო დაენახა თუ რამდენად სერიოზულად არის დაყენებული პედაგოგიური მხარე აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში.

მეორე კონსერვატორია, რომელსაც უწინ ეწოდებოდა საქართველოს ფილარმონიული საზოგადოება, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ეწევა ინტენსიურ და ნაყოფიერ მუშაობას. ამ დაწესებულების სათავეში მდგომი პირები ყოველგვარ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა მასწავლებელთა შემადგენლობაში თავი მოუყარონ სერიოზულ ძალებს. თუ მივიღებთ მხედველობაში სერიოზულ საფორტეპიანო ნაწარმოებთა შესრულებას მეორე კონსერვატორიის მოწაფეთა მიერ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე კონსერვატორიის მუშაობის პედაგოგიური მხარე სავსებით აკმაყოფილებს კონსერვატორიის პროგრამის მოთხოვნილებებს.

ეხლა, როდესაც ახლო მომავალში განზრახულია მუსიკალური მხარის და საზოგადოთ ჩვენი კონსერვატორიების შინაურ მმართველობის რეორგანიზაცია სავსებით სწორი იქნებოდა იმ აზრის გამოთქმა, რომ მეორე კონსერვატორიას პირველ კონსერვატორიის ფილიალად დარჩენის შემთხვევაშიაც უნდა მიეცეს თანასწორი უფლებები, ისევე როგორც პირველ კონსერვატორიის მოწაფეებისთვის საბოლოო მუსიკალური განათლების მიცემისათვის, ვინაიდან ჩვენ დავინახეთ და მოვისმინეთ შესრულება მოწაფე ქალის ბარათაშვილის (მასწავლებელ ვირსალაძის კლასის), რომელმაც სისრულით შეასრულა (არენსკის კონცერტის პირველი ნაწილი) ასევე აკმაყოფილებდა მხატვრულ მოთხოვნილებას მოწაფე ქალის კეკელიას შესრულება (მასწავლებელ ქალის პოლტარაცკის კლასი).

კონცერტის S-mole მოწაფე ქალის პაატაშვილის (აბელაშვილის კლასი), რომელმაც შეასრულა მოცარტის კონცერტის პირველი ნაწილი s-mole. ყოველივე ეს აკმაყოფილებს კონსერვატორიულ მოთხოვნილებებს და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. კარგად არის დაყენებული მეორე კონსერვატორიაში ვოკალური კლასი—მასწავლებელ ქალის ფოლკონესი (პირველი წელიწადი) პროფესორ რიადნოვის და პროფესორ ბახუტაშვილი-შულგინასი.

უნდა ითქვას, რომ პროფესორ ილჩენკოს სახით (ვიოლინის კლასი) და აგრეთვე პროფესორ ცოვიონოვის სახით (ვიოლონჩელის კლასი) მეორე კონსერვატორიამ საუკეთესო ძალები შეიძინა.

ქ-ონი სულხანიშვილი—ტომსონმა არ აკმაყოფილებს არა თუ კონსერვატორიის მოთხოვნილებებს, არამედ საშუალო სასწავლებლის მოთხოვნილებებსაც კი, ვინაიდან ... შემთხვევაში არ შეიძლება მისაჯდეს ... ჩატუროვის მიერ ბეთხოვენის სონატების C—mole შესრულება. ხაჩატუროვი უსათუოდ ნიჭიერია, მაგრამ სონატა ახსნილი აქვს ისე, როგორადაც მისი შესრულება არ შეიძლება. არ არის არც სტილი, არც რიტმი, არც დაკვრა და სწორი ფრაზიროვკა—არა ამ გვარად ახსნა მოწაფეებისათვის კლასიკური ნაწარმოებებისა არ შეიძლება.

საოპერო წარმოდგენა შესდგებოდა მთელი რიგ ოპერათა ნაწყვეტებისაგან. დადგმულ იქმნა მესამე მოქმედება გლინკის ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილა“ (პროფესორ კირილოვის კლასი)—აღვნიშნავ რატმირის პარტიის შესრულებას მოწაფე სიროტკინის მიერ მოწაფეს ლამაზი საშვალო სიძლიერის mezzo-soprano აქვს. ის მუსიკალურია და შეუძლია ხმის თავისუფლად მოხმარა, ლამაზი ხმა აქვს (soprano mezzo-caracter) მოწაფე ჩუტკერაშვილს (გორისლავა) ოპერა „პიკის ქალის“ მეორე მოქმედების ნაწყვეტმა მოახდინა ჩემზე მკრთალი შთაბეჭდილება.

გერმონის პარტიის შემსრულებელი მინასიანი არ იძლევა შედარებით ნიჭსაც. ხმა არ აქვს დაყენებული, სიმღერის დროს აყალბებს ხმას და თამამით უნდა დაფაროს ვოკალური შესრულების უსრულობა. მთელი გარეგანი სახე და გრიმი არ არის კარგი. ამბობენ, რომ მინასიანი ავათ იყო და ისე მღეროდაო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა საჭიროა სცენაზე გამოსვლა? ძლიერ კარგი ხმა აქვს მოწაფე ქალს ვარჩენკოს (პოლინა) ის მუსიკალურია. მოწაფე ქალა ოქროპირიძე (ლიზა) მუსიკალურია, მაგრამ ხმა ჯერ-ჯერობით კარგათ დაყენებული არა აქვს. ის მართლათ იღებს ტონს, მაგრამ რეგისტრებში ხმას თავისუფლად ვერ ხმარობს. მოწაფე ლეონიდე აღლაძემ მოახდინა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება არენსკის ერთმოქმედებიან ოპერის „რაფაელი“-ს კარდინალის პარტიის შესრულებით—და უფრო უკეთესი ბრამინ ნილოკანტის შესრულებით ოპერიდან „ლაკმე“. მოწაფე (პროფ. რიადნოვის) აღლაძე იძლევა შესაძლებლობას ახლო მომავალში გახდეს ცნობილი საოპერო მომღერალი. ძლიერ მომეწონა ბარიტონი ბოიარსკი (პროფ. რიადნოვის კლასი) რაფაელის პარტიაში არენსკის ერთ-მოქმედებიან ოპერაში. ბოიარსკი მღერის კარგათ და მოწაფეს კიდევ ცოტა მეცადინეობა სჭირდება, რომ ის გახდეს საოპერო მომღერალი ლირიკულ ბარიტონის პარტიებისთვის.

მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა მოწაფე ქალმა გოგლიჩიძე (ლაკმე) და ნერსესიანმა (აიდა).

პირველის (პროფ. შულგინის კლასი) კარგად მეორეს (კირილოვის კლასი) დამუშავებული აქვს ხმა (კოლორატურული Soprano) Soprano mezzo caractere. ნაკლებ დამაკმაყოფილებელია მოწაფე ქალი ჭრელაშვილი (ასინერის) მას დეტინაცია აქვს და ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბ. ბებუთოვი.

წერილები რედაქციის მიმართ

გულითად გმადლობთ, რომ თქვენს გაზეთში დაბეჭდეთ ჩემი ვრცელი, რთული და გაურკვეველის ხელით დაწერილი გამოკვლევა „თამარ მეფის მეხოტბენი“. ბეჭდვის დროს, რახან მე თვითონ ვერ ვხელმძღვანელობდი საკორექტურო საქმეს იგი დაიბეჭდა იმისთანა შეცდომებით, რომელნიც ბევრგან აბნელებს აზრს და დედნის ტექსტს. ამიტომ „თამარ მეფის მეხოტბენი“ მე შევიძინე ხუთ კომპლეკტად, ე. ი. „ტრიბუნის“ №-ები 462, 463, 464, 466, 469, 472, 476, 478,481, 483, 490, 499, 502, 506 და 509, შევასწორე, ცალკე შევკარი და თითო კომპლეკტი გადავეცი უნივერსიტეტის რეკტორს, დეკანს და ბიბლიოტეკას ზედწარწერით „სტუდენტთათვის“, მეოთხე ეკზემპლიარსაც მოგართმევთ თქვენ „ტრიბუნის“ რედაქციაში შესანახად ყველა იმათთვის, ვინც მოინდომებს გაეცნოს ჩემს მცირე შრომას და თან თავის საკუთარ კომპლეკტში შეასწოროს აღნიშნული კორექტურული შეცდომები.

ამასთანავე მადლობას ვუძღვნი გაზეთ „ტრიბუნის“ ასოთ-ამწყობლებს, რომელთაც დაუზარელად და სიყვარულით ააწყეს გაურკვეველ ხელით დაწერილი ტექსტი, სავსე მრავალგვარ ციფრებითა, სამოწმოებითა თუ ძველი სიტყვებით.

მ. ჯანაშვილი.

1916 წ. ვირიცხებოდი საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიაში. 1921 წ. პარტიის გაყოფის შემდეგ არც ერთს ფრთას არ ვემხრობოდი. ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი რომ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია ემსახურება მშრომელთა კლასს ეროვნულ-კლასობრივ ინტერესებს, ამიტომ სრული შეგნებით ვდგები ამ პარტიის წევრთა რიგებში და მის ყოველ დავალებებს და პარტიულ დისციპლინას პირნათლად შევასრულებ.

ან. მამაგეიშვილი.

1910 წლიდან მე ვმუშაობდი საქართველოს გასაბჭოებამდე სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციაში. გასაბჭოების შემდეგ ხსენებული პარტია გაიყო ორ ნაწილათ, რის შემდეგ დავრჩი პარტიის გარეშე, დავრწმუნდი, რომ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია არის ჭეშმარიტი დამცველი ერისა და მშრომელის ინტერესებისა, მსურს შეუერთდე აღნიშნულ პარტიას.

აკაკი რატიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ჟურნალისტი

სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა სამმართველოსთან არსებულ სრულიად რუსეთის ბეჭვდითი საქმის ცენტრალურ ბიუროს სექციის ორგანო

ჟურნალი ემსახურება რუსეთისა და უცხოეთის განათლების საკითხებს, რუსეთისა და უცხოეთის ბეჭვდითი საქმისა და ლიტერატურის მუშაკთა ცხოვრებას.

გამოვიდა №№ 1, 2, 3, 4 და მე-5. ამ დღეებში გამოვა მეექვსე ნომერი.

შეკვეთა უნდა გაიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ნიკიტის ბულვარი, სახლი № 8 რედაქცია „ჟურნალისტ“-ი; თითო ნომერი (გადაგზავნით) ღირს 1 მან. 50 კ. ჩერვონცებით, ფულის მიღების დღის კურსით.

ვინც 10 ცალზე მეტს გამოიწერს 10 პროც. დაეთმობა. № 380 2—2

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 415 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, ...ტ. № 4